

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

(ურთიერთთანამშრომლობის შესახებ)

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და აუდიოლოგიის
ეროვნულ ცენტრს შორის

ქ. თბილისი

14 მაისი, 2015 წ.

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში „აკადემია“) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის სახით და მეორეს მხრივ, აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ქევანიშვილის სახით, შემდგომში წოდებულნი, როგორც „მხარეები“, თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში „ცენტრი“ განახორციელებს თავის საქმიანობას, როგორც აკადემიის ასოცირებული წევრი.

„მხარეთა“ მიერ წინამდებარე მემორანდუმი ფორმდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი და საგანი

მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება „მხარეებს“ შორის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო საქმიანობის, ახალი სამეცნიერო პროექტების და ტექნოლოგიების შექმნისა და განვითარების მიზნით.

მუხლი 2. მხარეთა უფლებამოსილებანი

2.1. „მხარეები“ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:

2.1.1. განახორციელებენ ურთიერთთანამშრომლობას, სამეცნიერო კუთხით. საერთო ინტერესებზე დაყრდნობით აწარმოებენ ერთობლივ სამუშაოებს, პრაქტიკულად წამოჭრილი საკვანძო საკითხების გადასაჭრელად;

2.1.2. ხელს შეუწყობენ ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ „აკადემიისა“ და „ცენტრის“ პარალელურ რეჟიმში მუშაობას;

2.1.3. შეიმუშავენ და განახორციელებენ სამეცნიერო პროექტებსა და კვლევებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მემორანდუმის ხელმომწერი ორგანიზაციების განვითარებას;

2.1.4. რეგულარულად გაცვლიან ინფორმაციასა და მასალებს მემორანდუმის სფეროში წამოჭრილი სიახლეების შესახებ;

2.1.5. მობილიზაციას გაუწევენ თავიანთ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პოტენციალს და გამოიყენებენ მათ, საერთო ინტერესებში არსებული საკითხების გადასაწყვეტად;

2.1.6. მონაწილეობას მიიღებენ, რომელიმე მხარის მიერ ორგანიზებულ და მოწვეულ შეხვედრებში, თათბირებში, კონფერენციებსა და/ან საჯარო განხილვებში;

2.1.7. საჭიროების შემთხვევაში თავიანთ სამეცნიერო პოტენციალზე დაყრდნობით წარუდგენენ ერთმანეთს შესაბამის წინადადებებსა და დასკვნებს;

2.1.8. გაუწევენ ერთმანეთს საკონსულტაციო, მეთოდურ და მეთოდოლოგიურ ურთიერთ დახმარებას;

2.1.9. მიიღებენ მონაწილეობას ერთობლივი პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებაში.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება, სანამ ერთი მხარე ორი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს მისი შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 4. ცვლილებების შეტანა

4.1. მემორანდუმის არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს მემორანდუმის პირობები;

4.2. მემორანდუმის ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და დანართის სახით უნდა დაერთოს წინამდებარე მემორანდუმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

4.3. მემორანდუმის, რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი მემორანდუმის ბათილად ცნობას.

მუხლი 5. დავების გადაწყვეტა

5.1. „მხარეთა“ შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში, დავა გადაწყდება ურთიერთ შეთანხმების გზით;

5.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან;

6.2. შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს, ის არ წარმოადგენს სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე ან/და კომპეტენციაზე;

6.3. მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში, ამან არ უნდა იქონიოს გავლენა იმ საქმიანობაზე, რომელიც განხორციელდა წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე, მისი მოქმედების პერიოდში.

6.4. ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე მემორანდუმით გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი



გიორგი კვესიტაძე

აუდიოლოგიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი



ზურაბ ქევანიშვილი